საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004270

„ 11 " იანვარი 2026 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I ჩს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ენერგია" (415401950037)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

[illegible]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2020 წლის 8 ივლისის №2-589 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილება (დასკვნა №37; 11.09.2012)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004270

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N0004270 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის [illegible] პირველი ნაწილის

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

და 79^9 მუხლის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] – მთავარი სპეციალისტი [illegible] [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [signature]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 2 ივნისის №DES72500000181 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდაში განთავსებული, შპს „ენერგია"-ს (ს/კ401950037) კუთვნილი ჰიდროელექტროსადგურის (5,3 მგვტ სიმძლავრის „შილდის ჰესი") მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 8 ივლისის №2-589 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 11 სექტემბრის №37 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2012 წლის 11 სექტემბრის №37 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის შესაბამისად,** კომპანია საქმიანობას არ ახორციელებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით წარმოდგენილი სქემის დაცვით. კერძოდ:

1.1. საქმიანობის განხორციელების ადგილზე არ არის მოწყობილი გზშ ანგარიშით გათვალისწინებული, ქვიშის გამრეცხი მილი და ჭარბი წყლის გადამღვრელი ფოლადის მილი, მის ნაცვლად მოწყობილია ბეტონის უქმი წყალსაშვი;

1.2. ადგილზე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, არ არის სრულყოფილად დაკომპლექტებული, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით შესაბამისად;

2. 2012 წლის 11 სექტემბრის №37 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-8 პირობის შესაბამისად,** კომპანია საქმიანობის განხორციელების პროცესში, ვალდებულია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გადაცემა მოახდინოს შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციაზე, თუმცა ინსპექტირებით დადგინდა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება გაფორმდა, მხოლოდ 2025 წლის 13 ივნისს;

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 9 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „ენერგია"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №093323 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ყვარლის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 5 აგვისტოს №4/150-25 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად 79^8 მუხლის პირველი ნაწილით

გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 2025 წლის 5 აგვისტოს №4/150-25 დადგენილება, დეპარტამენტის მიერ გასაჩივრდა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ, 2025 წლის 22 ოქტომბრის №4/ა-1130-25 დადგენილებით, არ დაკმაყოფილდა დეპარტამენტის საჩივარი და უცვლელად დატოვა ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 2025 წლის 5 აგვისტოს №4/150-25 გადაწყვეტილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ენერგია“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 11 თებერვლის №004270 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 11 თებერვლის №004270 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ენერგია“-ს (ს/კ401950037) კუთვნილი ჰიდროელექტროსადგურის (5,3 მგვტ სიმძლავრის „შილდის ჰესი“) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 8 ივლისის №2-589 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 11 სექტემბრის №37 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ენერგია“ ვალდებულია:**

1. საქმიანობის განხორციელება მუდმივად უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი სქემის შესაბამისად. კერძოდ:

   1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს,** ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების სრულყოფილი დაკომპლექტება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, რისთვისაც ჰესის ტერიტორიაზე განათავსოს/მოაწყოს DN65 ტიპის ჩამქრობი სარქველი (2 ერთეული);

2. ვინაიდან ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ადგილზე განხორციელებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება **(იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის პირველი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტი), შპს „ენერგია“ ვალდებულია** ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს,** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.